MES 1 21 0000453669

17/05/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.04.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:40 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი (I, II, III)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (IV)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კველვების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშრისო ურთიერთობების ხელმძღანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდა წესებულებისდასახელ ება	სტატუსი	საკითხი

1.	სალომე პირველი		რექტორი	I-II- III
1.	ანჟელა აბულაძე	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	I-II- III
1.	მარიამ რამინაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I-II- III
1.	მაია ვასაძე		ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის დეკანი	I-II- III
1.	მურმან ციქუბაძე		ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი	I-II- III
1.	მიხეილ მაჩიტიძე		რეესტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი	I-II- III
1.	გიორგი იაშვილი		საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი	I-II- III
1.	თეა თულაშვილი		ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	I-II- III
1.	სოფო ალფაიძე		ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანაშემწე	I-II- III
1.	ია მებონია		ასოცირებული პროფესორი	I-II- III
1.	ნინო ფეტვიაშვილი		ასისტენტ-პროფესორი	I-II- III
1.	მაია ბლიაძე		მოწვეული პროფესორი	I-II-III
1.	სოფიო ხუნდაძე			IV
1.	თეონა გრიგოლაშვილი		ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი	IV
	თათია ხარაბაძე			IV

1.		შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
1.	აზა იფშირაძე		ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I-II**
2	ინგა ლომაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I**
3	დიანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ეკატერინე გიგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
5	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურის" საგანმანათლებლო პროგრამებზე აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურის" საგანმანათლებლო პროგრამებზე აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:**

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**"დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების"პროგრამა**
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-

7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძისქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ პროგრამის შეფასების მიმდინარეობის დროს, თანამშრომლობის ძალიან მაღალი სტანდარტი აჩვენა, არ დარჩენილა პასუხგაუცემელი კითხვა ან საკითხი. დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა პროგრამის განხორციელება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით. მან ასევე აღნიშნა, რომ მოწვეული ჰყავთ მდიდარი გამოცდილების მქონე პერსონალი, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილი იყო როგორც მოწვეული, ისე აკადემიური პერსონალის სტატუსით. ესენი იყვნენ დარგის ექსპერტები, სახელმძღვანელოების ავტორები, ტრენერები. ზოგიერთ მათგანს ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის გამოცდილება. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მასწავლებლის და ზოგადი განათლების საჭიროება. მან ასევე აღნიშნა პარტნიორი სკოლების მზაობაც თანამშრომლობისთვის. ექსპერტის თქმით, სკოლები იყვნენ პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელოვანი რესურსი და აღნიშნა სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ რაც ინტერვიუების დროს გამოვლინდა.
ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზანი მოკლედ, კონკრეტულად იყოს ფორმულირებული;
- რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება ისე, რომ შემცირდეს მათი რაოდენობა.
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო

კრუსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.

- პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში არ არის გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეძლებდა პროფესიული განვითარების გეგმის, როგორც პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული აღნიშნული კომპეტენციის მიღწევის მტკიცებულების შემუშავებასა და წარმოდგენას. შესაბამისად, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული შეფასების ისეთი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც შეფასდებოდა აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის დონე. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.
- რეკომენდებულია შეიქმნას კომპეტენციების რუკა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პროგრამის სამუშაო ჯგუფს დაადგინოს პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობა. აღნიშნული კომპეტენციების რუკა უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსი რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.
- რეკომენდებულია, ცალკე დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. რეკომენდებულია, ასევე პროგრამას თან ახლდეს უშუალოდ წინამდებარე პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რაც პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესაძლებლობას მისცემს;
- რეკომენდებულია, პროგრამისთვის შემუშავდეს მიღების დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი მიღების პირობები, კოლეჯის მიერ დაწესებული შიდა გამოცდის პროცედურები, შეფასების ფორმა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსები "დაგეგმვა და შეფასება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე" და " ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" გაერთიანდეს 7 კრედიტიან სასწავლო კურსად (ჩაშენებული პრაქტიკით-1 კრედიტი) და სტუდენტებს მისი არჩვიის შესაძლებლობა მიეცეთ პირველ სემესტრში.
- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმაში დაზუსტდეს / აისახოს ის წინაპირობები, რომლებიც გათავლისწინებულია კურსების სილაბუსების მიხედვით (დეტალური განხილვა წინაპირობების შესახებ იხილეთ შესაბამისი სტანდარტის აღწერაში);
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსები შეივსოს რიდერებითა და პრაქტიკული მეცადინეობების მეთოდური ლიტერატურით.
- რეკომენდებულია სასაწავლო კურსის დასახელება „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები", შეიცვალოს. კერძოდ, რეკომენდებულია, „ასაკობრივი ფსიქოლოგიის" ნაცვლად მის დასახელებაში ფიგურირებდეს „განვითარების ფსიქოლოგია";
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს გაზომვადი ზმნების საშუალებით, რაოდენობრივად შემცირდეს და ფოკუსირდეს კურსის სპეციფიკაზე. აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამისა და სასწავლო კურსების შედეგების ურთიერთმიმართების დაზუსტებას და გაზრდის შედეგების გაზომვის შესაძლებლობას;
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების

ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები და სხვ.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილში, გამოიკვეთოს კურსის შინაარსის სპეციფიკა, რაც აისახება კურსის შინაარსზე მორგებულ სწავლის მეთოდებსა და აქტივობებზე.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული კომპონენტი და მეთოდი ითვალისწინებდეს მოცემული კურსის სპეციფიკას.
- რეკომენდებულია, განისაზღვროს პედაგოგიური პრაქტიკის დასკვნითი გამოცდის მრავალმხრივი შეფასება, სადაც ჩართული იქნება პარტნიორი სკოლის წარმომადგენელიც.
- ზოგადი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ბლოკში შემავალი სავალდებულო კურსებისთვის - *ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები და რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დაწყებით საფეხურზე სწავლებისას,* გათვალისწინებული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა თუ პროფესიული გამოცდილება არ ეხმიანება შესაბამისი კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თემატიკას. რეკომენდებულია, აღნიშნული კურსის ფარგლებში დაწესებულებამ მოიზიდოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალი.

მათი თქმით, პროგრამის მიზნები მათი შედეგები და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გამსხვილება უნდა მოხდეს, რომლის ხარჯზეც მოხდება მათი შემცირება. ექსპერტის განმარტებით ყველა სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და ჩამოყალიბებული გაზმოვადი ზმნების საშუალებით. მათ ამ ნაწილის შეხედეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კონტექსტში, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას განახლებული სტანდარტის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გამოცდილება ნაკლებად ჰქონდა. ექსპერტის თქმით, მნიშვნელოვანი იყო მიზნების და სწავლის შედეგების გადახედვა.
მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ცალკეულ კურსებში, გათვალისწინებულლია მდგრადი განვითარების საკითხები, უნდა გამსხვილდეს და მისი მოცულობა უნდა იყოს რელევანტური, უნდა განისაზღვროს შეფასების კომპონენტი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ასევე სამიზნე ნიშნული. რელევანტურში იგულისხმებოდა, მისი მოცულობა უნდა ყოფილიყო იმდაგვარად წარმოდგენილი, რომ კომპეტენციის განვითარება მოხერხდეს პროგრამის ფარგლებში. პროგრამის სწავლის შედეგით განსაზღვრული იყო, რომ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების საფუძველზე კომპლექსურად გაანალიზება საკუთარი პრაქტიკის ეფექტიანობისა, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება. პროგრამაში იყო ის სასწავლო კრუსები, რომლებიც სტუდენტს დაეხმარებოდა ყოველივე აღნიშნულის შესრულებაში, თუმცა არ იყო გათვალისწინებული კომპონენტი და შეფასების თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეიმუშავებდა პროფესიული განვითარების გეგმას, წარმოადგენდა როგორც მტკიცებულებას. პროგრამის ფარგლებში უნდ ყოფილიყო წარმოდგენილი კომპეტენციების რუკა, რომლის განხილვის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა განსაზღვრა, რომელი კუსი რომელ სწავლის შედეზე გადიოდა. ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი რუკების შემთხვევაში ამის იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო, რაც შესაძლოა ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ამ დოკუმენტში ძალიან კარგად იყო მოცემული კომპეტენციების რუკის შაბლონი, სარეკომენდაციო ფორმა. სასურველი იყო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ეს კომპეტენციების რუკა შესაბამისობაში ყოფილიყო ამ საუნივერსიტეტო დოკუმენტში წარმოდგენილ ამ ფორმასთან.
დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, უნივერსიტეტის ავტორიზაციის მოქმედი პროგრამის ბიზნეს-ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის

შეიქმნა, ეს იყო საუნივერსიტეტო დუკომენტი და ნებისმიერი პროგრამის შექმნის შემთხვევაში პროგრამის სამუშაო ჯგუფი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შექმნისას ეყრდნობოდა. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ მასწავლების მომზადების პროგრამებისთვის უნდა შეიქმნილიყო ცალკე დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა საუნივერსიტეტო დოკუმენტთან. თუმცა სპეციალურად პროგრამისთვის შემუშავებული შეფასების მექანიზმი შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ასახულიყო პროგრამის სპეციფიკა, მისი შინაარსი, რაც განსაზღვრული იყო აკრედიტაციის სტანდარტებით. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაცია სწორედ იმას უკავშირდებოდა, რომ შექმნილიყო და პროგრამისთვის შემუშავებულიყო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. რეკომენდაცია ასევე უკავშირდებოდა მიღების დოკუმენტს, პროგრამაში თავად კურიკულუმის ნაწილში, მოცემული იყო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები. დაწესებულებას ვებ-გვერდზე განთავსებული ჰქონდა ჩარიცხვის, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარების შემთხვავაში თუ შეფასების რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს. ვებ- გვერდზე ასევე განთავსებული იყო რუბრიკები, რაც ცნობილი ვიზიტის დროს გახდა. სასურველია ამ ინფორმაციის შეკვრა და შემუშავება ერთი დოკუმენტად. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალობას. ორი სასწავლო კურსი „დაგეგმვა და შეფასება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე“ და „სასწავლო კურსი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ გაერთიანდეს 7 კრედიტიან სასწავლო კურსად, მასში წარმოდგენილი იქნას ჩაშენებული პრაქტიკა. სტუდენტებს მიეცეთ მათი არჩევის შესაძლებლობა პირველ სემესტრში.

მნიშვნელოვანი იყო სწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების დაზუსტება. ექსპერტის თქმით შეიძლება აღნიშნულიც ტექნიკური ხარვეზით გამოწვეული ყოფილიყო. სასწავლო კურსის სილაბუსებში კურსების ნაწილს მითითებული აქვთ წინაპირობა ანუ განსაზღვრული აქვს კურსის ავტორს, რომ მის კურსზე დაშვების წინაპირობა უნდა არსებობდეს, თუმცა პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსებს წინაპირობები არ აქვს მითითებული. ექსპერტთა თქმით, მნიშვნელოვანი იყო, პროგრამის კომპონენტების ათვისების ლოგიკურობისათვის წინაპირობების განისაზღვრა.

პროგრამის აღწერით ნაწილში, კომპეტენციის რუკაში მითითებული იყო, რომ პროგრამა უზრუნველყოფდა ავტონომიურობის კომპეტენციას, თუმცა სასწავლო კურსებში ვერ ნახა ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო კურსი, სადაც მითითებული იქნებოდა შესაბამისი სწავლის შედეგები, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ავტონომიურობას. სასწავლო კურსში „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ განვითარების ფსიქოლოგიას ეთმობოდა სულ რარაც 2 სალექციო შეხვედრა. კურსისი ძირითადი ნაწილი ეთმობოდა სწავლების თეორიებს, წარმოდგენილი იყო განათლების ფსიქოლოგიის ნაწილები. ამდენად, სტუდენტების ზუსტი ინფორმირებისთვის აუცილებელი იყო დასახელება შეცვალილიყო და „განვითარების ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ ეწოდოს. ასევე, შემუშავებული იყო სკოლებთან თანამშრომლობის მემორანდუმი, თუმცა მემორანდუმი არ მოიცავდა ინფორმაციას თუ რამდენი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა ამა თუ იმ სკოლას, თუ როგორ რეგულირდებოდა სკოლებში სტუდენტთა განაწილება. მნიშვბელოვანი იყო, რომ ეს ან მემორანდუმში დაზუსტებულიყო ან შექმნილიყო დოკუმენტი სადაც აღწერილი იქნებოდა სკოლებში განაწილების მექანიზმი და პირობები.

მან ასევე აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა თითქმის ყველა კურსის შემთხვევაში იდენტური იყო, განსხვავება იყო მხოლოდ იმ კურსებს შორის, რომელშიც პრაქტიკის კომპონენტი იყო წარმოდგენილი და მას დამატებული ჰქქონდა პრაქტიკის შეფასების კომპონენტი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ სასწავლო კურსების სწავლის მეთოდები და შეფასების მეთოდები მორგებული ყოფილიყო თავად კურსის თემატიკაზე და ითვალისწინებდეს შიანარსის სპეციფიკას. სასურველია, სკოლებმა და პრაქტიკის ხელმძღვანელებმა უშუალოდ ადგილზე მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა შეფასებაში და შესაბამისი კომპონენტი განისაზღვროს დამოუკიდებელი პრაქტიკის სასწავლო კურსის ფარგლებში.

ექსპერტებმა შესავალში ძლიერ მხარედ გამოავლინეს მოწვეული და აკადემიური პერსონალი. თუმცა, რამდენიმე სასწავლო კურსის ავტორების პირადი საქმის შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სასწავლო კურსების ავტორები უნდა შეიცვალოს და დაწესებულებამ უნდა მოიზიდოს შესაბამის დარგში გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რომელთა კვალიფიკაციაც დადასტურდება აკადემიური თუ სამეცნიერო საქმიანობით, პრაქტიკული გამოცდილებით. ეს სასწავლო კურსებია „რესურსების შექმნის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სწავლება“, „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ და „განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სალომე პირველმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა ექსპერთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ რამინაშვილმა სწავლის შედეგების გამსხვილებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტებს. თავდაპირველად მათ ჩათვალეს, რომ უმჯობესი იქნებოდა საკითხის უფრო დაწვრილებით გამოტანა, რათა ადვილად აღქმადი ყოფილიყო თავად სტუდენტებისთვის. ეცადნენ, რომ ყველა ეს შედეგი ყოფილიყო რელევანტური შეფასების სისტემასთან. სილაბუსში არსებული საკითხები და მიზნები თანხვედრაში იყო შედეგებათან, პროგრამის არსთან და საბოლოო შედეგთან. თუმცა, მისი თქმით ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინება არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდათ.

რაც შეეხება მდგრადი განვითარების მახასიათებელს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 60 კრედიტის ფარგლებში თითოეული საკითხის მრავალფეროვვების სრულად ასახვა გაუჭირდათ. საკითხის ცალკე საგნად გამოტანა ასეთი შეზღუდული კრედიტების პირობებში რთული იყო. თუმცა, სალექციო კურსი საკმარისი იქნებოდა პედაგოგის მზაობისთვის, რომ მas ეს ინფორმაცია სწორედ და რელევანტურად გამოეყენებინა საგაკვეთილო პროცესში. რაც შეეხება, თვითშფასების საკითხს, პროგრამაში იყო საგანი „პრაქტიკის კვლევა“, სადაც აღნიშნულ საკითხს არაერთი სალექციო კურსი ეძღვნებოდა და მე-15-ში პირდაპირ პრაქტიკის კვლევის თვითშეფასების მოდელის წარმოდგენა, მათ ჩათვალეს, რომ ეს იქნებოდა სწორედ ის ნაწილი, რომელიც სრულად ამოწურავდა ყველა დეტალს და იმას, რომ მზად იყოს პედაგოგი შეექმნა პროფესიული თუ კარიერული განვითარების გეგმა და რუკა, რომელიც უპასუხებდა თვითშეფასების პროცესის შესაბამისობას. რაც შეეხება ავტონომიურობას, დაწესებულების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ავტონომიურობა პრაქტიკის ნაწილში სრულად იყო ჩაშლილი, გამომდინარე იქიდან, რომ მეორე პრაქტიკა მოიცავდა რამდენიმე კომპონენტს ერთად, პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა მიღებული ინფორმაცია უნდა დაამუშავოს, შეუსაბამოს არსებულ რეალობას, კონკრეტულ სიტუაციაში შექმნას კონკრეტული საგანმანათლებლო გეგმა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ავტონომიურობა ყველაზე უკეთ აქ ჩანდა, შესაძლოა იყო ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნვის პროცესში შეიძლება დაწესებულებას გამორჩა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ავტონომიურობა სრულად იყო წარმოდგენილი, აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას და პროგრამა შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან. რაც შეეხება ასაკობრივი თეორიების ნაწილს, გამომდინარე იქიდან, რომ დაწყებითი საფეხურია, რომელიც თავის მხრივ გულისხმობდა ასაკობრივი მახასიათებლის გათვალისწინებას, განვითარების თეორიების ავტორების მიერ წარმოდგენილ ფართო ჭრილში. დაწესებულების წარმომადგენელი თვლიდა, რომ დაწყებით საფეხურზე ასაკობრვი მახასიათებლების გათვალისწინებით იყო წარმოდგენილი ესე თუ ის ავტორი. პრინციპი თავად სილაბუსების აწყობისა იყო 4 სეგმენტიანი. ავტორ წარმოდგენილი იყო ასაკობრივ ჭრილში, შემდგომ ემატებოდა პროცესზე მისი გავლენის შესაბამისობა, სტუდენტებს ეძლეოდათ საშუალება, რომ გაეკეთებინათ დასკნა და გამოყენებული ყოფილიყო ასაკთან შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლის

განმარტებით, ეს არ იყო აზრთა განვითარების თეორიები, არამედ უშუალოდ, თითოეული ავტორის განვითარების თეორიების შინაარსი ასაკობრივ ჭრილში, სწორედ ამიტომ ჩათვალეს, რომ სალექციო კურსს უნდა ერქვას იგივე სახელი. თუმცა დაამატა ისიც, რომ ასახელის შეცვლაც არ წარმოადგენდა პრობლემას.

რაც შეეხება პრაქტიკის ნაწილს, მისი შეფასება ხორციელდებოდა ორ ეტაპად, პირველი იყო უშუალოდ სკოლაში მენტორის მიერ განხორციელებული პრაქტიკა და ამის საფუძველზე ხდებოდა დაწესებულებაში წარმოდგენა სადაც იქნებოდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. დასაწყისი ბაზა იყო იმ მენტორი მასწავლებლის შეფასება, რომელსაც ის გააკეთებდა კონკრეტულ საგანმანათლებლო პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია იქნებოდა გაზიარბული. მათი მოსაზრებით, აღნიშნული რეკომენდაციები არ ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას პროგრამის საბოლოო შედეგსა და ხარისხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა აქცენტები გაეკეთებინათ იმ რეკომენდაციებზე, რომლებსად გაწესებულების წარმომადგენლები არ იზიარებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასეთ რეკომენდაციად გამოყო მდგრადი განვითარების შესახებ რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ 60 კრედიტიან პროგრამაში, სადაც პრაქტიკის ნაწილი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. საკმარისი იყო პედაგოგისთვის სალექციო კურსის პირობებში იმ დოზით მიწოდება რაც პროგრამით იყო გათვალისწინებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, უფრო რჩევის ხასიათის იყო, ვიდრე რეკოემდაციის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მემორანდუმებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია მათ უკვე გათვალიწინებული ჰქონდათ და დასკვნის პროექტის წერის პროცესში დაწესებულებამ აღნიშნული განახლებული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა. რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო და ექსპერტები შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს ეყრდნობოდა იმ დოკუმენტაციას რაც ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში ჰქონდათ, ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას გადაწყვეტილების მიღების დროს მხეველობაში ვერ მიიღებდნენ, თუმცა აქვე აღნიშნა პატივისცემა დაწესებულების მიერ გამოხატული მონდომებისა და განვითარებაზე ორიენტირებულობის მიმართ.

საბჭოს წევერმა მაკა კაჭარავამ განმარტება სთხოვა ექსპერტს, 1.2 კომპონენტთან დაკავშირებილ რეკომენდაციაზე, კომპეტენციათა რუკის შესახებ, რომელიც ფორმულირებული იყო, რომ უნდა შეიქმნას კომპეტენციათა რუკა. იგულისხმებოდა ახალი დოკუმენტის შექმნა, თუ არსებულის დახვეწა.

მიღების წინაპირობებში ინტისტუციას უწერია, რომ საგამოცდო საკითხების ყველა პროცედურა უშუალოდ ვებ გვერდზე იქნებოდა აპლიკანტებისთვის ცნობილი, ასევე ეწერა, რომ დნართის სახით ერთვის პროგრამას. საბჭოს წევრი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფმა ნახა თუ არა აღნიშნული დანართი.

საბჭოს წევრის, მაკა კაჭარავას მესამე კითხვა მიემართებოდა დაწესებულებას. იგი დაინტერესდა რა მოტივაცია ჰქონდა დაწესებულებას აღნიშნული პროგრამების შექმნისთვის, რა იყო მიზანი. ახორციელებდა თუ არა დაწესებულება განათლების მიმართულებით საბაკალავრო პროგრამას. ვითვის იყო გათვლილი აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით რესურსების შექმნასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ როგორც საბჭოსთვის მიწოდებული დოკუმენტებიდან ირკვეოდა, საბჭოზე წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების სამივე პროგრამისთვის შრომის ბაზრის ერთი კვლევა გააკეთა. იგი დაინტერესდა ანიშნული კვლევა დაწესებულებამ საკუთარი ძალებით ჩაატარა თუ არა.

შემდგომი კითხვა ეხებოდა ბიუჯეტის დეტალიზაციას, საბჭოს წევრის შეფასებით საკმაოდ კარგად იყო დეტალიზებული, მაგრამ არ ჩანდა რა რაოდენობის სტუდენტებზე იყო გათვლილი. და თუ ეს მინიმალური რაოდენობა ასტუდენტებისა არ მოვიდოდა, არსებობდა თუ არა პროგრამის ფინანსური მდგრადობის გეგმა.
საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე დაინტერესდა, კურსების ხელმძღვანელები, რომელთა ჩანაცვლებაც იქნა რეკომენდირებული, აკადემიური პერსონალის წევრები იყვნენ თუ მოწვეული.
ექსპერტმა მიხეილ გიორგაძემ კომპეტენციათა რუკასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე განმარტა, რომ კომპეტენციების რუკა პროგრამას თან ახლდა, თუმცა არ იძლეოდა შესაძლებლობას დადგენილიყო ესა თუ ის სასწავლო კურსი რომელ სწავლის შედეგზე გადიოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ფორმულირება შეიცვალოს ‘’შეიქმნას ისეთი კომპეტენციათა რუკა რომელიც უზრუნველყოფს...’’.
ექსპერტის განმარტებთ ვებ გვერდზე იყო მიღების ნაწილი, თუმცა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იყო მხოლოდ შეფასების რუბრიკები, ინსტრუმენტები რომლითაც ამა თუ იმ კომპონენტის ფარგლებში აპლიკანტები შეფასდებოდნენ. კურიკულუმის სტრუქტურაა ისე იყო აგებული, რომ ერთ-ერთი სექცია ეხებოდა სწორედ დაშვების წინაპირობას.
რაც შეეხება რესურსების შექმნასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, ექსპერტის თქმით, მათ დაათვალიერეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, შერჩევითად მოიძიეს რესურსები, ამ მხრივ შეფერხება არ ყოფილა. თუმცა, იყო გარკვეული სასწავლო რესურსები, რომელიც ღია რესურსების სახით იყო ვებ-გვერდზე განთავსებული. ის შეიძლება გარკვეული პერიოდის შემდგომ მოიხსნას ვებ-გვერდიდან ან ფასიანი გახდეს. სასურველია, რომ ეს რესურსები ამ მომენტისათვის ყველა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და შეივსოს, დაამატოს გარკვეული სასწავლო რესურსები ინტიტუციამ.
რაც შეეხება აკადემიურ პერსონალზე დასმულ შეკითხვას, ექსპერტმა დაადასტურა, რომ იყვნენ მოწვეული ლექტორები. ორი იყო მოწვეული პერსონალი, ერთი აკადმეიური პერსონალი.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ ითხოვა დაზუსტება სასწავლო კურსთან დაკავშიორებით, შინაარსთან დაკავშირებითაც იყო შენიშვნა, თუ მხოლოდ პერსონალთან. საუბარი იყო რესურსების შექმნასთან საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
ექსპერტების თქმით, შინაარსთან დაკაშირებით შენიშვნა არ ყოფილა. სასწავლო კურსი გამართულად იყო შექმნილი, თუმცა კარგი იქნებოდა ლიტერატურის მხრივ შევსებულიყო სათანადო ლიტერატურით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში დეტალურად იყო აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომელიც ითვალისწინებდა შიდა გამოცდის ჩაბარებას. აღნიშნული ინსტიტუციის თქმით ვებ-გვერდზე იყო განთავსებული, როგორც კატალოგი ისე შიდა გამოცდის ნიმუში. მათი თქმით ეს სრულიადან საკმარისი იყო, რომ აპლიკანტს გაეგო რა იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. ასევე აღნიშნეს, რომ ბაზრის კვლევა განხორციელდა შიდა რესურსით, კურსდამთავრებულებმა გამოხატეს დაინტერესება აღნიშნული საკითხის მიმართ და ჩაერთნენ კვლევებში. კითხვაზე, რატომ ეს პროგრამები, იმიტომ, რომ ამ სამმა პროგრამამ, დააგროვა ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი. მთავარი მიზანი იყო დაედგინა დაწესებულებას დასაქმების ბაზრის ტენდენციები, მოთხოვნების შეფასება , პროგრამაზე სტუდენტთა მოთხოვნის შეფასება და ამ რეკომენდაციების გათვალისწინება. ამ კვლევაში ჩართული იყო 50 საჯარო თუ კერძო სკოლის დირექტორი, როგორც დამსაქმებელი. კვლევა განხორციელდა თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინაციით.
კომპეტენციების რუკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჰქონდათ და დაეთანხმა, რომ შედეგები იყო საკმაოდ დეტალიზებული, ამის მიზეზად დასახელდა, რომ ყოფილიყო კარგად აღქმადი. აკადემია მოწოდებული იყო ქვეყნისადმი ისეთი პრიორიტეტული სფეროს განვითარებისკენ, როგორიც სასკოლო რეფორმაა. დაწესებულების მიზანს წარმოადგენდა მოემზადებინათ 21-ე საუკუნის შესაბამისი მასწავლებლები. თითოეულ პროგრამაზე გამოცხადებული იყო 20 ადგილი და ბიუჯეტი წარმოდგენილი იყო 20

სტუდენტისათვის. მთლიანობაში გამოცხადებული იყო 60 ადგილი, თითო მიმართულებაზე 20-20 ადგილი. სწავლის საფასური შეადგენდა 2020 ლარს.
15:55საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა გაიოზ ფირცხალაძე.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაახლოებით 60% უნდა დაიყვირთოს პროგრამა, რომ ე.წ. წაუგებლობის ნიშნულის მიაღწიოს. ამ შემთხვევაში პროგრამა იქნებოდა უზრუნველყოფილი ყველა და არ იქნება დმაატებითი ხარჯის მოძიება საჭორო. ეს კვლევა ფინანსური ნაწილისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. რეალურად ბაზარზე ბევრად უფრო მარალი იტო მოთხოვნა, ვიდრე უსდ-ის მიერ მოხდებოდა მიწოდება, რაც ამცირებდა რისკებს, რომ პროგრამა არ დაიტვირთებოდა. რაც შეეხება კომპანიის მატერიალურ და ფინანსურ საკითხს, ბოლო წლის განმავლობაში განიცადა დიდი რეფორმა, განაახლა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახულლი შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი, სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -17
წინააღმდეგი -0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდებულია, მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია შემდგომში მათი გაზომავდობის მისაღწევად;
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კრუსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
- პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში არ არის გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეძლებდა პროფესიული განვითარების გეგმის, როგორც პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული აღნიშნული კომპეტენციის მიღწევის მტკიცებულების შემუშავებასა და წარმოდგენას. შესაბამისად, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული შეფასების ისეთი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც შეფასდებოდა აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის დონე. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.
- რეკომენდებულია დაზუსტდეს კომპეტენციების რუკა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პროგრამის სამუშაო ჯგუფს დაადგინოს პროგრამის სწავლის შედეგებისა და

სასწავლო კურსების შესაბამისობა. აღნიშნული კომპეტენციების რუკა უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსი რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.

- რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამისთვის მიღების წინაპირობები, მასთან დაკავშირებული პროცედურები.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსები "დაგეგმვა და შეფასება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე" და " ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" გაერთიანდეს 7 კრედიტიან სასწავლო კურსად (ჩაშენებული პრაქტიკით-1 კრედიტი) და სტუდენტებს მისი არჩვიის შესაძლებლობა მიეცეთ პირველ სემესტრში.
- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმაში დაზუსტდეს / აისახოს ის წინაპირობები, რომლებიც გათავლისწინებულია კურსების სილაბუსების მიხედვით (დეტალური განხილვა წინაპირობების შესახებ იხილეთ შესაბამისი სტანდარტის აღწერაში);
- რეკომენდებულია სასაწავლო კურსის დასახელება „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები", შეიცვალოს. კერძოდ, რეკომენდებულია, „ასაკობრივი ფსიქოლოგიის" ნაცვლად მის დასახელებაში ფიგურირებდეს „განვითარების ფსიქოლოგია";
- § სასწავლო კურსში „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დაწყებით საფეხურზე სწავლებისას" თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან და კურსის მიზნებთან.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები და სხვ.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილში, გამოიკვეთოს კურსის შინაარსის სპეციფიკა, რაც აისახება კურსის შინაარსზე მორგებულ სწავლის მეთოდებსა და აქტივობებზე.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული კომპონენტი და მეთოდი ითვალისწინებდეს მოცემული კურსის სპეციფიკას.
- რეკომენდებულია, განისაზღვროს პედაგოგიური პრაქტიკის დასკვნითი გამოცდის მრავალმხრივი შეფასება, სადაც ჩართული იქნება პარტნიორი სკოლის წარმომადგენელიც.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში - *ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები და რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დაწყებით საფეხურზე სწავლებისას,*-დაწესებულებამ მოიზიდოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალი.

რჩევები:

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზანი მოკლედ, კონკრეტულად იყოს ფორმულირებული;
- რეკომენდებულია, ცალკე დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. რეკომენდებულია, ასევე პროგრამას თან ახლდეს უშუალოდ წინამდებარე პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და

სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რაც პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესაძლებლობას მისცემს;

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსები შეივსოს რიდერებითა და პრაქტიკული მეცადინეობების მეთოდური ლიტერატურით.
- პროგრამის მიზნებში ვხვდებით ჩანაწერს, რომ გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა, პროგრამა ამზადებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამის მასწავლებელს. სასურველია, შეიცვალოს ფორმულირება და ნაცვლად საერთაშრისო სტანდარტებისა გამოყენებული იყოს ტერმინი საერთაშორისო გამოცდილება.
- სასურველი იქნებოდა პროგრამის საჭიროების დადგენის მიზნით ჩატარებულ კვლევაში მონაწილე პირებისთვის დასმულიყო კითხვები პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით, რაც პროგრამის შემუშავების საჭიროებასთან ერთად გამოკვეთდა პროგრამის შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭიროებებს;
- კვლევის შედეგების ვალიდურობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად სასურველი იქნებოდა პროგრამის საჭიროების დადგენის მიზნით ჩატარებულ კვლევაში აღწერილი ყოფილიყო შერჩევა - რა მეთოდილოგიით მოხდა კვლევაში მონაწილე პირთა შერჩევა და რამდენმა პირმა მიიღო კვლევაში მონაწილეობა;
- სასურველია, ღია ელექტრონული წყაროების მისამართები მითითებული იყოს სილაბუსებში და ინახებოდეს ბიბლიოთეკაში ელექტრონულ მატარებელზე.
- სასურველია სილაბუსებში ლიტერატურის მითითებისას დაცული იყოს ლიტერატურის დამოწმების წესი;
- სასურველია, პროგრამის დანართები N2, N3, N4, შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან და საასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან;
- სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და დაზუსტდეს სილაბუსებში ანალიტიკური და ჰოლისტური რუბრიკების მიზნები და ერთმანეთთან შესაბამისობა;
- დაწესებულების დონეზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ყველაზე გავრცელებული აქტივობა, ძირითად შემთხვევაში, ადგილობრივ დონეზე ტრენინგები და კონფერენციებში მონაწილეობაა. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა, სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, წაახილისოს აკადმიური პერსონალი სამეცნიერო საქმინობის დემონსტრირება მოახდინოს საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებებში.
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მეტი სანდოობისთვის სასურველია, სტუდენტთა გამოკითხვა გახდეს ნებაყოფლობითი;
- სასურველი იქნებოდა პროგრამის შეფასება განეხორციელებინა რომელიმე იმ უნივერსიტეტს ან სხვა ტიპის დაწესებულება, რომელსაც წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების გამოცდილება უკვე აქვს ან შესაბამისი ექსპერტების ჩართულობით განახორციელებდა პროგრამის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების" პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით

2. მეორე საკითხი:
შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა**
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძისქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü დიახ
დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა თვითაცილება, რადგან პროგრამის შეფასებაში მიიღო მონაწილეობა როგორც ექსპერტმა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი და მეორე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტმა მიხეილ გიორგაძემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნის ფორმულირება და მისი ცალკეული პუნქტები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მიზნებისა და შედეგების ურთიერთბმის გამოკვეთა.
2. რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება, რაოდენობრივად შემცირდება და მათი გაზომვადი ზმნების საშუალებით წარმოდგენა ისე, რომ შენარჩუნდეს დარგობრივ მახასიათებელთან თანხვედრა.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის კომპონენტებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
4. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.
5. რეკომენდებულია, დაიხვეწოს კომპეტენციების რუკა, რათა მკაფიო გახდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა. აღნიშნული კომპეტენციების რუკა უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსი რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.
6. რეკომენდებულია, კონკრეტულად ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზნები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა, დადგენილი იქნება სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმა.
7. რეკომენდებულია, პროგრამისთვის შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პროცედურები, შეფასების ფორმა, შეფასების

კომპონენტები და კრიტერიუმები.

1. რეკომენდებულია, გაიდაიხედოს „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ და „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სწავლებისას“ სასწავლო კურსების შინაარსი და შესაბამისობაში მოვიდეს მიზანსა და სწავლის შედეგებთან.
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის კომპონენტების ათვისების ლოგიკურობა.
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში აისახოს ის სწავლის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფდა პროგრამის სწავლის შედეგის - ავტონომიურობის კომპეტენციის განვითარებას სტუდენტებში.

4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს გაზომვადი ზმნების საშუალებით, რაოდენობრივად შემცირდეს და ფოკუსირდეს კურსის სპეციფიკაზე.
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის დასახელება „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ შეიცვალოს; კერძოდ, „ასაკობრივი ფსიქოლოგიის“ ნაცვლად მის დასახელებაში ფიგურირებდეს „განვითარების ფსიქოლოგია“.
6. რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები, შეფასების მეთოდები და სხვ.
7. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევა, რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები მოერგოს კონკრეტული კურსის სპეციფიკას.
8. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული მეთოდი და კომპონენტი ითვალისწინებდეს კონკრეტული კურსის სპეციფიკას.
9. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სწავლებისას“ და „ასაკობრივი ფსიქოლოგიისა და სწავლების თეორიების“ შემთხვევაში, ჩართულ იქნას შესაბამის დარგში გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რათა უზრუნველყოფილ იქნას სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ექსპერტის განმარტებით,რეკომენდაცია რომ დაემატოს რაიმე სახის ახალი კურსი,რომელიც ამ სასწავლო შედეგზე იქნება ოგულისხმობდა ახალი სასწავლო კურსის დამატებას, არამედ თემის გამსხვილებას. რაც შეეხება პროფესიული განვითარების გეგმას, დაწესებულებას სრულად დაეთანხმა, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფდა და ეხმარებოდა სტუდენტს, განახორციელებინა პრაქტიკაზე დაკვირვება და თვუთშეფასება. პროფესიული განვითარების გეგმა, ექსპერტის განმარტებით, უნდა ეყრდნობოდეს ამ მახასიათებლებსა და ანალიზს. რეკომენდაცია უკავშირდებოდა არა იმას, რომ პროგრამის ფარგლებში თვითშეფასება არ ხორციელდებოდა, არამედ, სტუდენტს არ ეძლეოდა შესაძლებლობა შეექმნა პროფესიული განვითარების გეგმა და შემდგომ წარმოდგენა. მისი თქმით, ასეთი აქტივობა და შესაბამისი შეფასების კომპონენტი პროგრამის ფარგლებში არ იყო გათვალისწინებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით თვლიან, რომ უნდა შეცვლილიყო შეფასება და შეფასებულიყო როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მასწავლებელი, რომელიც 60 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში სწავლობდა იმას, თუ როგორი იყო თვითშეფასების ფორმა, უშუალოდ პრაქტიკის ნაწილში აკეთებდა საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას, რომელიც ცალკე ფასდებოდა, ის თავის წარმატება წარუმატებლობის ინდიკაციებს აცნობიერებდა. პრაქტიკულ ნაწილში თვითშეფასების გეგმას ვერ შექმნიდა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უკავშირდებოდა პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას, რომელიც სწავლის შედეგებში გაწერილი იყო . თუმცა, თუ პროგრამის ფარგლებში არ მოხდებოდა სტუდენტის ამ კომპეტენციის შეფასება, ფლობენ თუ არა სტუდენტები პროგრამის ფარგლებში კონკრეტულ კომპეტენცია მოცემული სახით ამის დადგენა ვერ მოხდებოდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობის დადგენილება, რომელიცგულისხმობდა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას და ხარისხის ჯგუფის შექმნას სკოლაში. გათვალისწინებული იყო ისეთი გეგმა რომელზეც ექსპერტი საუბრობდა, თუმცა აღნიშნული გეგმა ამ დადგენილების თანახმად არ იყო სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა ვინ იყო პროგრამაზე ჩარიცვხის მსურველთა ძირითადი კონტინგენტი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევას თანახმად, გამოცდაზე

გამსვლელი და მასწავლებელთა უმეტესობა იყო პრაქტიკოსი მასწავლებელი, ისინი ფლობენ გარკვეულ უნარებს. თუ გარედან შემოსული კადრია, არსებული საგანმანათლებლო პროგრამა აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ საგნობრივი კომპეტენცია მიეღო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახული შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი, სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს შპს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების" პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -16
წინააღმდეგი -0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდებულია, მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია შემდგომში მათი გაზომავდობის მისაღწევად
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის კომპონენტებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.
- რეკომენდებულია, დაიხვეწოს კომპეტენციების რუკა, რათა მკაფიო გახდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა. აღნიშნული კომპეტენციების რუკა უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსი რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.
- რეკომენდებულია, კონკრეტულად ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზნები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა, დადგენილი იქნება სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმა.
- რეკომენდებულია, პროგრამისთვის შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პროცედურები, შეფასების ფორმა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
- რეკომენდებულია, გაიდაიხედოს „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ და „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სწავლებისას“ სასწავლო კურსების შინაარსი და შესაბამისობაში მოვიდეს მიზანსა და სწავლის შედეგებთან.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში აისახოს ის სწავლის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფდა პროგრამის სწავლის შედეგის - ავტონომიურობის კომპეტენციის განვითარებას სტუდენტებში.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის დასახელება „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ შეიცვალოს; კერძოდ, „ასაკობრივი ფსიქოლოგიის“ ნაცვლად მის დასახელებაში ფიგურირებდეს „განვითარების ფსიქოლოგია“.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის კომპონენტების ათვისების ლოგიკურობა.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები, შეფასების მეთოდები და სხვ.
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევა, რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები მოერგოს კონკრეტული კურსის სპეციფიკას.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული მეთოდი და კომპონენტი ითვალისწინებდეს კონკრეტული კურსის სპეციფიკას.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სწავლებისას“ და „ასაკობრივი ფსიქოლოგიისა და სწავლების თეორიების“ შემთხვევაში, ჩართულ იქნას შესაბამის დარგში გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რათა უზრუნველყოფილ იქნას სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების" პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით

17:35 საათზე ანა ფირცხალაიშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა.

3.მესამე საკითხი

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურის" საგანმანათლებლო პროგრამებზე აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

		"ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურის"
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძისქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს გააცნო ეკატერინე გიგაშვილმა. მან აღნიშნა, რომვიზიტი განხორციელდა 2021წლის 3 თებერვალს. პროგრამა მოიცავდა 60 კრედიტს, ორ სემესტრზეა იყო გათვლილი და მოიცავდა ყველა საჭირო რესურს, რომელიც პროგრამის განხორციელებისთვის იყო საჭირო. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი სწავლის შედეგები და მათი პროგრამის

შესაბამისობა მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. სტუდენტთა მიღწევები, სწავლის რესურსებით უზრუნველყოფა და სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შეფასდა როგორც „შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

ექსპერტმა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები წარუდგინა საბჭოს :

- პროგრამა ეფუძნება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემას (ECTS), თუმცა პროგრამის ფორმატში დაწესებულების მიერ გამოყენებულია აბრევიატურა როგორც ESTS, ასევე ECTS. ტექნიკური შეცდომა დაშვებულია რამდენჯერმე, შესაბამისად უნდა გასწორდეს;
- პროგრამის ფორმატში, დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას არის დაშვებული სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომა, აპლიკანტს აქვს ჩასაბარებელი შიდა გამოცდა, შესაბამისად საბაკალავრო კოლეჯის ნაცვლად მითითებულია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა, რაც დაკორექტირებას საჭიროებს;

- პროგრამის ფორმატი მოითხოვს დაკორექტირებას სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის ნაწილში, კერძოდ, კურსდამთვრებულისთვის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არ არსებობს არც შესაბამის და არც მომიჯნავე სპეციალობის მიმართულებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები-ინოვაციური და აკადემიური უნარჩვევების, მოქალაქეობრივი შეგნებისა და დემოკრატიული ღირებულებების ნაწილში საჭიროებს შინაარსთან უფრო მეტ კავშირს.
- სწავლის შედეგები ვრცლად არის წარმოდგენილი, თუმცა შესაძლებელია მათი ფორმულირება უფრო მოკლედ და ლაკონურად, შესაძლო გადაფარვის გამორიცხვით;

- პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორანდუმი არ ითვალისიწნებს სტუდენტთა კონკრეტულ რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაზე სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან მზაობა ნათლად გამოიკვეთა. უმჯობესია გაფორმდეს ხელშეკრულება პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით პრაქტიკანტთა კონკრეტული რაოდენობის მითითებით.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ ექსპერტს მიმართა კითხვით: პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გარდა პროგრამაში არსებული ჩანაწერისა,იყო თუ სხვა რაიმე იურიდიული აქტით დადასტურებული.

ექსპერტის თქმით, პროგრამაში ჩარიცხვის პირობები იყო თავად პროგრამაში. ცალკე შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით იყო დადგენილი შიდა გამოცდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:35

დასრულების დრო: 18:03

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი, სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს შპს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურის" პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -16
წინააღმდეგი -0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:
ა) რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კრუსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
ბ) პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორანდუმი არ ითვალისიწნებს სტუდენტთა კონკრეტულ რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაზე სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან მზაობა ნათლად გამოიკვეთა. რეკომენდირებულია გაფორმდეს ხელშეკრულება პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით აკრედიტაციის სტანდართებთან სრული შესაბამისობით.
გ) რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილში, გამოიკვეთოს კურსის შინაარსის სპეციფიკა, რაც აისახება კურსის შინაარსზე მორგებულ სწავლის მეთოდებსა და აქტივობებზე.
დ) რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული კომპონენტი და მეთოდი ითვალისწინებდეს მოცემული კურსის სპეციფიკას.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურის" პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.
18:03 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

4. მეოთხე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ხელახალი აკრედიტაცია
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	11.08.2020 N 679092
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქუთაისი, 4600, წერეთლისქ. N 13.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძემ .

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტი დავით სიხარულიძის განმარტებით ყველა რეკომენდაცია შესრულებული იყო დაწესებულების მიერ.
შესასრულებელი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რომელშიც განისაზღვრება სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების ფაქტობრივად მიღწეული შედეგების, არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგებისმონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები;
- მკაფიოდ გაიმიჯნოს სასწავლო კურსების (სტრატეგიული მარკეტინგი, აკადემიური წერა) სწავლის შედეგები, შინაარსი და ძირითადი ლიტერატურა ბაკალავრიატის საფეხურის მსგავსი სასწავლო კურსებისგან და მოერგოს სამაგისტრო საფეხურს;
- მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდისა და დენადობის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც განსაზღვულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით და რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.
- დაწესებულებამ შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ასევე, ნიშვნელოვანია დაწესებულებამ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვაზე და დაწესებულების საქმიანობაში მათი მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე.
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - 5 განავითარე“ ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

დაწესებულების განმარტებით, როდესაც მიიღეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, დაიწყეს დეტალური გათვალისწინება. პროგრამა განვითარდა და მიიღო ძალიან კონსტრუქციული ფორმა.
საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის თქმით, რეკომენდაციებში იყო საკითხი რომელიც ეხებოდა ბალანსის დაცვას მოწვეულსა და აფილირებულ პერსონალს შორის. ასევე, იყო ჩანაწერი, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რომ გაზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა და შეამციროს დენადობა. როგორც საბჭოს წევრმა აღნიშნა ანგარიშის დასკვნაში ამ რეკომენდაციების შეფასება ვერ ნახა. იგი დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით რა მდგომარეობა იყო და რა ნაბიჯებს დგამდა დაწესებულება ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
18:20 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა ელენე ჟრავლიოვა.
ექსპერტის თქმით დასკვნაში მკაფიოდ ჩანდა, რომ ორგანიზაციას ჰქონდა გაკეთებული აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით კონკურსი. ასევე განხორციელებული იყო გარკვეული ქმედებები აკადემიური პერსონალის მოზიდვასთან დაკავშირებით. ექსპერტმა მიიჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულების მიერგათვალისწინებული იყო.
დაწესებულების თქმით, ანგარიშში ასახული იყო ყველა ის ღონისძიება, რომელიც ინსტიტუციამ განახორციელა აკადემიური პერსონალის მოზიდვის კუთხით. პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო რამდენიმე პერსონალი. ინგლისური ენის კომპეტენციის თვალსაზრისით, ყურადღება გაამახვილეს კადრთან მიმართებით. შეიცვალა დაწესებულებასთან თანამშრომლობის წესები, გათვალისწინებული იქნება როგორც აკადემიური ისე მოწვეული ლექტორების თანაფარდობა.
საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა, რეკომენდაციის გაცემიდან დღემდე აკადემიური პერსონალის რაოდენობა რამდენით გაიზარდა. რაზეც დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 4 ადამიანი დაემატა პროგრამას. ამ ეტაპზე პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო 39 აკადემიური, 40 მოწვეული და 26 აფილირებული პერსონალი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:34
დასრულების დრო: 18:37

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

18:40 საათზე საბჭოს სხდომა დასრულდა.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ